572
1959 /2

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 6

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ივნისი
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ბარათი

მ. ფოცხიშვილი

ნახატი ალ. ბანძელაძისა

აფრინდა მტრედი, აფრინდა,
ზეცა აავო მკერდით,
აფრინდა, აიეოლია
ერთი ბარათი თეთრი.

ბარათში ჩაწერილია
ჩვენი გულისთქმა წმინდა:
„ჰატარა მალხაზები ვართ,
ხალხთა მშვიდობა გვინდა!

გვინდა ვარდებით ვახაროთ
დედა სამეარო ვრცელი,
ბავშვებო, მოდით, ერთმანეთს
მაგრად ჩავჭიდოთ ხელი.

რომ ყველამ იცრძნოს, გაიგოს,
ჩვენი გულისთქმა წმინდა:
ჰატარა მალხაზები ვართ,
ხალხთა მშვიდობა გვინდა!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალამნები

ნ. ბეზარაშვილი

ნახატები დ. ხახუბაშვილისა

0574

გურამს მოსწყინდა ჩრდილში კოტრიალი. გაიფიქრა: ბაღში წავალ, ქარის ჩამოყრილ ჭიან ვაშლებს ავკრეფ და ღორს მივუტანო. ბევრი ეძება თავისი პატარა კალათი, მაგრამ ვერ იპოვა. ამ ძებნაში ლურსმნებზე ჩამოკიდებულ ცხვირკაუჭა, ახალთახალ ქალამნებს წააწყდა. ისინი გუშინწინ ამოასხა პაპამ და სარეხის კედელზე დაჰკიდა. კიბის ქვეშ ბუზების ჭერით გართულმა მურამ თავისი მეგობარი ქალამნებთან ახლოს რომ დაინახა, წამოხტა. ეგონა, გურამს ჩემთვის უნდა ქალამანი, საღეჭი გამიჩნდებაო. ცქმუტავდა, წკმუტუნებდა, გურამს ფეხებში ედებოდა. როცა გურამი გაბრაზდა და გაუწყრა, მხოლოდ მაშინ დაწყნარდა. ორ ფეხზე წამოყუნტდა და შორიდან საცოდავად დაუწყო ყურება მაღლა ჩამოკიდებულ ქალამნებს.



— ნამდვილი ურემია! — ჩაიდუდუნა მან და თრევით გაიტანა ეზოდან.

მურაც უკან გაეკიდა.

გურამმა ვიწრო ბილიკი აიარა და ბაღში შეჩერდა. ჭიანი ვაშლებით აავსო ქალამანი. ერთი-ორიც ჯიბეში ჩაიდო. მერე კი ფრთხილად გაათრია „ურემი“, რომ ბაღში მომუშავე პაპას არ დაენახა. ორღობის ბოლოს პატარა ბესიკო შეეჩეხა. ვაშლებით სავსე ქალამანს ჩააცქერდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— ეს რა არის, გურამ, ვინ მოგცა?

— ვერა ხედავ? ურემია!

— ურემი კი არა, ბიჭო, ნავს უფრო მიაგავს. აბა, წყალში გაუშვი, როგორ იცურავებს?!

გურამმა ეზოდან პატარა კუნძი შემოათრია, ზედ შედგა, როგორც იქნა, ჩამოიღო ერთი ქალამანი, მიწაზე დადო და თასმით გამოსწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაჰყო, აავსო და ნაპირთან ვაკე ადგილზე დადო. მერე ლაშქარებს რამდენიმე ყვავილი გამოაძრო და ქალამანში ჩაყენებულ წყალზე მოათავსა. ზოგი წაიქცა, ზოგიც ჯარისკაცივით გამოიჭიმა. როცა ცისფერი ყვავილებით აავსეს ქალამანი, გურამმა ფრთხილად შეაცურა წყალში. მშვენივრად მიცურავდა ნავი, მაგრამ უცბად თავდალმართზე ჩაქანდა და გურამსაც თასმა მოულოდნელად გაეშვა. ქალამანი შორს გაიტაცა წყალმა.

— დაიჭი, დაიჭი!—წივილ-კივილით აედევნენ ბიჭები.

მურა მათზე წინ გაიქცა, სულ ოთხით მირბოდა. ბიჭები ვერ დაეწივნენ ქალამანს

გურამს მოეწონა ბესიკოს ნათქვამი:

— კარგი. ვაშლებს ღორს დავუყრი და მერე წყალზე წავიდეთ!

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭები რუს ნაპირზე იყვნენ. მურას ქალამნის ცქერით ნერწყვი მოსდიოდა, მოუსვენრად დახტოდა. გურამს ქალამნის თასმაზე ჩაევლო ხელი და რუს ტალღებზე მიაცურებდა. ბესიკოც გვერდით მისდევდა და ურჩევდა:

— ნავი ცარიელი არ დადის, შიგ ხალხი ზის ხოლმე. მოდი, ჩვენც ჩავსვათ!

— აბა, ვინ ჩავსვათ?—გურამს ჯერ არც კი დაემთავრებინა სიტყვა, რომ ბესიკომ რუს ნაპირთან მიირბინა, ლაშქარას ყვავილები მოსწყვიტა და მოიტანა.

— აქ მომეცი!—გამოართვა გურამს ქალამანი, ორი ხელით წყალში ღრმად

და

გულდაწყვეტილებმა სახლისაკენ გასწიეს.

— ეს რა ჰქენი,—საყვედურობდა გურამი ბესიკოს,—პაპას როგორღა დავენახვო? მერე რამდენი იწვალა ამოსხმაში.

— რა ჩემი ბრალია, შენც ნუ წამოიღებდი.

— მაშ, ვისი ბრალია! შენ არ მითხარი, ნავად გამოდგებაო?

ჩხუბობდნენ, ერთმანეთს აბრალებდნენ ბიჭები. ბაღიდან დაბრუნებული შაქრო პაპა კი ამ დროს კუნძზე იჯდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ბოსტანი

თ. კვირკაია
ნახატი ბ. როინიშვილისა

თინა, ჩემთან გადმოდი,
რომ ისწავლი გაკვეთილს;
ხომ გინდოდა გენახა
ჩემი მიწის ნაკვეთი!

შენ გგონია, ამ ადგილს
უფროსები უვლიან?
არა, დაო, მთლიანად
ჩემი დაკვალულია.

ბოსტანი მაქვს ისეთი,
არ სჭირდება შექება;
მალე წითელ-წითელი
პამიდორიც მექნება.

თუ მწვანილი დაგჭირდეს,
მოდი, განა შორსა ვარ?!
ყველას გავუნაწილებ
ჩემი ბოსტნის მოსავალს!

და ისვენებდა. ყური მოჰკრა ბიჭების დავას, მაგრამ ვიდრე იმათ ლაპარაკს თავსა და ბოლოს გაუგებდა, ეზოში შურდულივით შემოვარდა მურა. კბილებით სველ ქალამანს მოათრევდა. შაქრო პაპამ იცნო თავისი ქალამანი და გაბრაზებული წამოხტა:

— კეტი, ბიჭებო, კეტი! რამდენჯერ დამსვა ცარიელი, ალარ ვაპატიებ. სულ ასე მომტაცებს ხოლმე!

სანამ პაპა კეტს იპოვიდა, ბიჭებმა მურას დაღეჭილი ქალამანი გამოგლეჯეს, ხელით გაასწორეს და საჩეხში შეცვივდნენ.

პაპაც მათკენ გაეშურა. მან კედელს შეხედა. ლურსმნებზე ისევ ეკიდა ქალამნები,—ერთი მშრალი, ერთი სველი. მხოლოდ ბიჭები და მურა ვეღარ დაინახა. ისინი სადღაც გაპარულიყვნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი თ. სამსონაძისა

ო. შალამბერიძე

მშენებლები

გუგუნებენ ქარსნები,
დგას სალისი უჩვეი.
მშვენდებიან ბაღები,
მშვენდებიან ქუჩები.

ბულდოზერი მიწას თხრის,
თითქოს რკინის მხრები აქვს;
უველგან ახალ-ახალი
ქალაქები ჩნდებიან.

მოსარდების თაობაც
გვწამს, უსაქმოდ არ რჩება;
აგურს აწუობს აგურზე
ლონიერი მარჯვენა.

უველა კომკაეშირელი
თავის სიტეგას ამართლებს:
აგერ, სკოლის კუთხეში
სასელოსნო გამართეს.

პიონერმაც გაიგო,
რომ შრომაა გმირობა,
და პირნათლად ასრულებს
პიონერულ პირობას.

და ჩვენ ოქტომბრელები
განა ვზივართ ნებივრად?
ჩვენც ხომ დიდი შეიდწლედის
ნორჩი მშენებლები ვართ.

დროს არ ეკარგავთ, ეიჩქარით,
ჯართი მიგვაქვს სკოლაში;
ვასახელებთ სამშობლოს
სწავლაშიც და შრომაშიც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი თანამგზავრი

სომხურიდან თარგმნა **დ. გაჩეჩილაძემ**

გ. ბორიანი

სადაც წავალ,
სულ თან მახლავს,
მარტოდ მავალს
ვერვინ ნახავს.
ხან მე მივდევ,
ხან ის მომდევს...
არ მშორდება
არასოდეს...
გამოიცან,
მაშ, ვინ არის,—
ჩემი ძმა თუ
მეგობარი?
ვერ იცანი?!
კიდევ გეტყვი:
ზოგჯერ არის
ჩემზე მეტი...
ზოგჯერ კიდევ

სულ პატარა,
რომ იცვლება
ათასგვარად...
ჰო, ის ჩემი
თანამგზავრი
შავი არის,
როგორც მავრი.
კვლავ ვერ მიხვდი?
გეტყვი სხვასაც:
თუმც შავია
ზანგის მსგავსად,
არც თვალი აქვს
და არც ყური...
არც წყალი სურს
და არც პური...
ცა და მიწა
რომ იწვოდეს,
კრინტს არ დასძრავს
არასოდეს.
კვლავ ვერ მიხვდი?
გეტყვი სხვასაც:
როს ღრუბელი
ფარავს ცასა,
ან როს ბნელი
ღამე დგება,
თანამგზავრი
სადღაც ქრება.

ჩნდება მხოლოდ
დამფის შუქზე,
ისიც შენებრ
დაფუსფუსებს...
შენთან ერთად
ჯდება, დგება,
ხან დგას, როგორც
ქანდაკება.
აბა კარგად
მოისაზრე:
ვინ იქცევა
შენთან ასე?
დაგდევს, როგორც
თანამგზავრი,
სხვაგან ვერსად
გააგზავნი.
მარტოდ მავალს
ვერვინ ნახავს,
შენთან არის
იგი ახლაც.
არ გშორდება
წვიდან წამდი...
რა თქვი? ყოჩაღ!
ღანდი! ღანდი!

ნახატები
გ. თოთიბაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრეჭანა

რ. ინანიშვილი

ნახატი ბ. როინიშვილისა

ლადოს კრეჭანას ემახიან. ეს იმიტომ, რომ კან-კანზე ამოსული დიდი კბილები აქვს და სულ იცინის, იცინის...

ერთხელ კრეჭანას მეველემ დაუძახა:

— მოდი აქ!

კრეჭანამ გაიკრიჭა და მივიდა.

— მწიფე გულაბი არ გინდა?— ჰკითხა მეველემ.

კრეჭანამ ისევ გაიკრიჭა და თავი დაუქნია:

— მინდა.

მეველემ ჩანთიდან ჩაყვითლებული გულაბი ამოიღო და გაუწოდა.

კრეჭანამ გულაბი იმწამსვე ჰირისაკენ გააქანა და ჩაკბიჩა.

მაგრამ მეველემ გულაბი ხელიდან წაართვა, მერე ჩანთიდან სხვა გაებეჩილი გულაბი ამოიღო და ახლად გაებეჩილს შეადარა. ორივეს ერთნაირი ნაკბილარები ეტუობოდა.

მეველე კრეჭანას ეურში სწვდა:

— იეავი თუ არა ჩვენებიანთ გულაბზე?

უარის თქმა აღარ შეიძლებოდა.

— ვიეავი!—აღრიალდა კრეჭანა.

ასე დაიჭირა მეველემ ეს ონავარი ბიჭი ქურდობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნორკა

ვ. ჩაკლინა

ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

ნორკა ძალიან სასაცილო იყო. როგორც ყველა ლომვეშაპს, მასაც ჯაგარივით გაფშეკილი ულვაშები და წყლიანი მრგვალი თვალები ჰქონდა. სწორედ ეს აძლევდა სასაცილო და ბრიყვულ იერს.

ის ზოოპარკში კუნძულ ვრანგელიდან ჩამოიყვანეს, საშინლად გამხდარი და ნაშიმშილევი: ძალიან შორი და ძნელი გზა გამოიარა, ხან მატარებლით და ხან გემით. თანაც ერთ ვიწრო ყუთში იყო ჩაჭედილი. ამიტომაც ზურგი და გვერდები სულ დაწყლულებული ჰქონდა.

ნორკას მოვლა პირველად მე ვიკისრე. წყლულებს ყოველდღე ვბანდი, გალიას ეუსუფთავებდი, წვრილად დაჭრილ თევზს ვაჭმევდი. ის ხომ ჯერ პატარა ლომვეშაპი იყო. ჭამაც არ ემარჯვებოდა ხეირიანად. თუმცა დღეში ოთხ-ხუთ კილოგრამ თევზს მიირთმევდა და ერთ ჭიქა თევზის ქონსაც დააყოლებდა.

ნორკა ძალიან გონიერი იყო. მისი ჭკუა ბევრ ძაღლს შეშურდებოდა. არ უყვარდა, როდესაც გალიაში მარტო დავტოვებდი. მაშინვე გზას გადამიღობავდა, ანჩხლობდა. მეც ასეთ ხერხს ვიხმარდი: საჭმელს გალიის შორეულ კუთხეში დავუდგამდი და, სანამ ნორკა სჭამდა, სწრაფად გავეცლებოდი. მაგრამ ეს ხერხიც დიდხანს არ გამომადგა: მალე მიმიხვდა. ერთხელ, გაქცევა რომ დავაპირე, მაშინვე აუზში ჩახტა, კართან მიმასწრო და ტანით მიაწვა. აბა ნორკას როგორ დავძრავდი, ის ხომ ცხრა ფუთს იწონიდა!

ასე დატყვევებული ვყავდი, ვიდრე თამაშით გულს არ მოიჯერებდა. ხან წყალში მეპატიჟებოდა საცურაოდ, ხან ცხვირით ცდილობდა გადავეყირავებინე. აუზში მარტო ჩასვლა არ უნდოდა: აუზი პატარა იყო, მოუხერხებელი და არც მარტოობა გახლდათ სასიამოვნო!

ნორკა თითქმის მთელი დღე აუზის ნაპირზე იწვა და ეძინა. ამიტომ გადავწყვიტე: მოდი, გავასეირნებ, ცოტას მაინც იმოძრავებს-მეთქი. გადაწყვეტა კი ადვილი იყო, მაგრამ მისი გალიიდან გაყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი გამოდგა, — ეშინოდა. თანდათანობით მივაჩვიე: დავიჭერდი ხელში თევზს და ყოველ გადმოდგმულ ნაბიჯში თითო ნაჭერს ვაძლევდი. ნაბიჯი ნაბიჯს მისდევდა და ჩვენც გალიას ნელ-ნელა ვცილდებოდით. ბევრი სიარული, მართალია, უჭირდა,—ქვეშა ფარფლებს უხეხავდა, მაგრამ სეირნობა მაინც შეუყვარდა.

გარეთ საღამოობით გამოვდიოდით, როდესაც დარაჯის სასტვენი ხალხს ატყობინებდა, ბაღის დაკეტვის დროთა. ჰოდა, გაიგონებდა თუ არა სასტვენის ხმას,პარკის ბილიკებს თვალს არ აშორებდა. რომ დამინახავდა, შესაგებებლად გამოქანდებოდა და კარის გაღებაში მშველოდა. მე კარზე ბოქლომს მოვხსნიდი, ნორკა კი ცხვირს ჰკრავდა და გაღებდა. წარმოიდგინეთ, რაზის გახსნაც კი ისწავლა. ცხვირს დაარტყამდა რაზას და მყისვე ამოაგდებდა. მერე რა მაგარი დარტყმა იცოდა!

მახსოვს, ერთხელ ავად გახდა და ექიმი მოვუყვანეთ. ნორკას ექიმი რატომღაც არ მოეწონა. კისერი წაიგრძელა, უშველებელი პირი დააღო და ისე დაიღმუვლა, თითქოს ემუქრებაო. ამაოდ ვარწმუნებდი ექიმს, ხელი არ ეხლო, ის მაინც მიუახლოვდა ნორკას. მაგრამ შეხება ვერ მოასწრო, რომ ლომვეშაპმა თათი დაარტყა და განზე გადაისროლა.

ამას არც მე მოველოდი. ეს იყო და ეს, ნორკას ექიმი ახლო აღარ გაუკარებია.

ზამთარში აუზი გაიყინა და ნორკა დახურულ შენობაში გადაიყვანეს. ჩემს მაგივრად მას მსახური ნეფედოვი უვლიდა.

ნორკა ნეფედოვს მაშინვე მოეწონა. სულ იმას ცდილობდა, თევზის ზედმეტი ნაჭერი მიეკერძა და ბევრსაც ათამაშებდა.ოღონდ სწყინდა, რომ ნორკა მე მაინც უკეთესად მცნობდა.

— იშვიათად მოდით ხოლმე,—მეხვეწებოდა ნეფედოვი, — ოდესმე ხომ უნდა გადაგეჩვიოთ.

არ ვაწყენინე მოხუც მსახურს და ნორკა ერთი თვე აღარ მინახავს. მაგრამ მერე ძალიან მომენატრა ჩემი ფარფლიანი მეგობარი. თანაც მაინტერესებდა, ნეტავ თუ მიცნობს-მეთქი!

ერთხელ მის გალიას რომ ჩავუარე, გადავწყვიტე მენახა. ნორკა წყალში იწვა. ხანდახან ცხვირს სულ პატარაზე ამოჰყოფდა, ჰაერს შეისუნთქავდა და ისევ ჩაიმალებოდა.

ოდნავ გასაგონად დავუძახე. წარმოიდგინეთ, ჩემი ხმა წყალშიც კი იცნო. არ მეგონა, თუ ასეთ სიმარჯვეს გამოიჩენდა! თვალის დახამხამებაში ნაპირზე გამოვიდა. განზე გახტომაც ვერ მოვასწარი, რომ უალუზე შედგა, წინა ფარფლთათები მხრებზე შემომხვია, სველი ულვაშები კი სახეზე ალერსით მომიხახუნა. ლამის წავიქეცი, სულსაც ძლივს ვიბრუნებდი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო—იმხელა ცხოველი მომაწვა მხრებზე! თანაც პალტოზე წყალი წურწურით ჩამომდიოდა.

როდესაც წავედი, ნორკამ ბადესთან მიირბინა, თვალი დიდხანს ვერ მომაშორა. მერე ისა გულსაკლავად ოხრავდა! ასე თქვეს, თითქოს ცრემლებიც კი გადმოსცვივდა და იმ დღეს საჭმელიც არ ჭამაო.

ღამით თურმე ნორკამ ბადე გაარღვია, დერეფანში გავიდა და ხვეული კიბით სახურავზე გადაძერა. და, აი, ღამის სიჩუმე მისმა საშინელმა ღმუილმა დაარღვია. კიდევ კარგი, დარაჯმა დაინახა სახურავზე. ჩემი მეგობარი თურმე რამდენიმე კაცმა პირსახოცებით ძლივს შეკრეს, ძირს ჩამოიყვანეს და ისევ გალიაში შეასახლეს.

ამის შემდეგ მას ბადე აღარ გაურღვევია და გარეთ არ გამოსულა. ვერავინ გაიგო, ნორკა იმ დღეს ასე რად მოიქცა!

თარგმანი თ. ღვინიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. გოგიაშვილი

მარიკა და ვარიკა

ბოსტანშია ვარიკა,
უკან დასდევს მარიკა:
— ხან აქ დარბის, ხან იქა,
მომეხმარეთ, არიქა!
კვერცხის დება ვარიკას
ვერ ვასწავლე, არ იქნა.
ვითომ არის ჭატარა?
სად არ ვსდიე, სად არა...
ჩემი ხვეწნა გაიგოს,
სულ არა აქვს შეგნება;
ერთი კვერცხი დამიდოს,
გოგლიმოგლი მექნება!

მთვარეზე

— გოგი, აქ რა გინდა,
რად გამოხველ გარეთ?
რატომ უცქერ მაღლა
მოკაშკაშე მთვარეს?!
— იმიტომ, რომ, მალსაზ,
მთვარეს ვაკვირდები,
როცა გავიზრდები,
ცაში გავფრინდები.
ვიფრენ დღე და ღამე
მთვარისაკენ მაღლა,
სად დავფრინდე მაშინ,
ადგილს ვეძებ ახლა!

ნახატები მ. ახობაძისა

ბუნების კარი

გონიერი «ზორგა»

ბ. აბულაძე

ნახატი ი. სეხნიშვილისა

მზიანი, წყნარი დღეები დადგა. გადავწყვიტე, ჩემი შვიდი თვის ლეკვი, მეძებარი «ზორბა» ტყის ქათმებზე დამეგეშა. მოვიგდე ზურგზე სანადირო ამბა, გადავიკიდე მხარზე თოფი და წყლით სავსე მათარა. ზორბა მიხვდა, სადაც მივდიოდით, და კარს მოუთმენლად თათს უბრახუნებდა—ჩქარა წავიდეთო.

ზორბას ტყე ძალიან მოეწონა. გაკვირვებით უსმენდა ჩიტების სტვენას. ხის ტოტზე დაინახა ჩხიკვი, გაოცებით მიაცქერდა და შესწკმუვლა—ჩამოდი ხიდან, ახლო გნახო, რა ჩიტი ხარო. ჩხიკვს არ მოეწონა მისი წკმუტუნი და ისე მაგრად დასჩხავლა, რომ შეშინებული ზორბა ჩემსკენ გამოიქცა. მიშველეო.

ცოტა ხნის შემდეგ შეეჩვია ტყის «უცნაურობას» და უკვე თამამად დარბოდა. რამდენიმე ტყის ქათამს გაეგაბა და ააფრინა. დროგამოშვებით მოდიოდა ჩემთან, ცხვირს მათარაზე მიადებდა, წყალს მთხოვდა. შუადღემდე მათარაში წვეთი წყალი აღარ იყო. სულ ზორბამ დალია.

დასვენების დროც მოახლოვდა, წყაროსაკენ წავედით. გზაში ზორბა ფუღუროიან ძირკვს წააწყდა. შიგ წინა დღეებში ჩამდგარი წვიმის წყალი იყო. ძირში კი ხის ფოთლები ეფინა. ზორბამ ერთ წუთში ამოცალა წყალი და შემდეგ სველ ფოთლებს დაუწყო ლოკვა. მივედი და ხელით ამოვკრიფე ფოთლები. ფუღუროში გამოჩნდა წყალი, ზორბა დაეწაფა და ხელად ამოსვლიპა.

ცოტა ხნის შემდეგ ზორბას კვლავ მოსწყურდა და აი, ბედი—მეორე ისეთივე ფუღურო იპოვნა! სწრაფად ამოლოკა ფოთლებს ზემოდან დამდგარი წყალი, მერე თათით ოსტატურად ამოხვეტა ფუღუროს ძირიდან ფოთლები, სწორედ ისე, როგორც მე მოვიქეცი, და ჩარჩენილი წყალი დალია.

ზორბა უკვე გამოცდილი მეძებარია. ახლა ადვილად პოულობს ფუღუროში ჩამდგარ წვიმის წყალს. მაგრამ რაც უნდა სწყუროდეს, ძველ, ნაგუბარ წყალს არ ეკარება—უგემურიაო.

ნაცარა იხვი

ნახატი ი. არღვიშვილისა

ერთხელ იხვებზე სანადიროდ ჭალატყეებისაკენ გავემგზავრე. გავიარე მუხნარი. ანკარა რუსთან რომ მივედი, უეცრად ამიფრინდა იხვი. ვესროლე. იხვმა ჩამოჰკიდა ფრთები და წყალში ჩავარდა. მივირბინე, გადავხედე წყალს, იხვი არსად იყო.

მივხვდი: დაჭრილმა იხვმა ჩაყვინთა და დამემალა. მაგრამ დიდხანს ხომ ვერ გაძლებდა წყალქვეშ! რუს ნაპირებს ავუარ-ჩავუარე. ერთ ადგილზე წყლიდან ამოშვერილი ბრტყელი პატარა ჩხირი შევნიშნე, ის ჩემს მისვლაზე ჩაიმალა. ჩავჯექი, დავიცადე, ჩხირი ისევ გამოჩნდა. დავაკვირდი: ეს ხომ იხვის ნისკარტია! აგერ, ცხვირის ნაჩვრეტები, აგერ, წყალში ბუნდოვნად მოუჩანს ზურგიც.

ფრთხილად გავყავ ხელი ბალახებში, სწრაფად ვწვდი ნისკარტში და ამოვიყვანე. ნაცარა იხვს ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ამიტომაც გადასარჩენად ჩაყვინთვა ამჯობინა. თუ წყლის შუა ადგილზე ამოყოფდა ნისკარტს სასუნთქავად, დაინახავდნენ. ჰოდა, ისიც მიცურდა ნაპირთან და ბალახების ახლოს ამოჰყო ნაფოტა ნისკარტი. მე რომ შემთხვევით არ დამენახა, კარგა ხანს კიდევ იქნებოდა ჩამალული.

იხვი აბგაში ჩავისვი. შინ რომ მივედი, მოტეხილი ფრთა გავუსწორე და ტილო შემოვახვიე, რომ არ ეფრთხიალა.

რამდენიმე დღეში ჭრილობა მოურჩა, ყველას შეგვეჩვია. ნაცარამ მთელი ზამთარი ჩვენთან გაატარა.

გაზაფხულზე ნაცარა ქალაქგარეთ წავიყვანე მტკვარზე. მდინარე რომ

დაინახა, სიხარულით ყიყინი დაიწყო. მიწაზე დავსვი და მოვშორდი. ნაცარამ მიიხედ-მოიხედა და აფრინდა. ცოტა ხანს თავზე დამტრიალებდა, ალბათ, მემშვიდობებოდა. მერე შემაღლდა და ჩრდილოეთისაკენ გასწია.

სალამი, გაზაფხულო

ნახატები ა. კანდელაკისა

ნ. ოქროპირიძე

გაზაფხული რომ მიიწურა, ბებერი მუხის ძირში რკოს კაცუნამ სახელოსნო გახსნა. ამ ჩხირკედელა ხელოსანს პირველად გომბეშო ესტუმრა:

— ყი-ყი, ჩხირკედელა, მთელი ზამთარი მიწისქვეშ გავატარე, ზურგი მთლად გამიხუნდა. ცოტა გამაკოხტავე, თორემ ზაფხულს ასე როგორ შევხვდე?!

ხელოსანმა გომბეშოს ზურგი ისე ჩინებულად შეუღება, რომ ყიყინამ თავისთავი ველარც კი იცნო.

ნახატები გ. როინიშვილისა

გ. ლექავა

ხათუნა

მამალს ხატავს ხათუნი,
ფიქრებშია გართული.
დაუმშვენა ფეხები
ოქროსფერი დეზებით.
ვერ დახატა ნისკარტი,
დაავიწყდა ბიბილო,
უნისკარტოდ მამალმა
როგორ უნდა იყივლოს?!

გ. წერეთელი

მეურმე

ჩალის ღეროებისგან
გავაკეთე ურემი;
გამოვაბი უღელზე
ძაფის აპეურები.
და აყალო მიწისგან
გამოვძერწე ხარები;
თუ დაგჭირდეს, მამილო,
თქვი და მოგეხმარები.



არ გასულა ორიოდე წუთიც, რომ კარზე მაისის ხოჭომ მოაკაკუნა:

— ზურგის გაპრიალება მინდა,—მორცხვად თქვა მან.

— ხომ ხედავ, ვხატავ, ცოტა ხანს დაიცადე!—უპასუხა რკოს კაცუნამ და სკამი შესთავაზა.

როცა გაპრიალებული კოხტა ხოჭოც გაისტუმრა, სახელოსნოს კართან საცოდავი

ახლა ფრთების ფარფატით შეწუხებული პეპელა მოფრინდა:

— აბა, ნახე, რა დღეში ვარ! ონავარმა გიგლამ ფრთები ლამის დამიმტვრია, მიშველე რამე.

ხელოსანმა პეპელა მაშინვე სახატავ სამფეხზე გააკრა და ფრთების შეფერადება დაუწყო.

ვ. ჯღამაძე

გზა

მეგობრები პატარა
დიტომ ერთად დარაზმა,
ნახეთ, როგორ გაწმინდეს
ჩვენი სოფლის შარაგზა!

ბ. ბერიაშვილი

ღელე

— ასე ადრე ხელ-პირს ვინ გბანს,
ერთი მითხარ, დალი?
—ხელს ვინა მბანს? პირს ვინა მბანს?
ვინ და ღელის წყალი!—
ვაჟა დგას და ეჩხუბება
პაწაწინა ღელეს:
— მე დალიზე ნაკლები ვარ?
რატომ არ მბან ხელებს?!

კვნესა გაისმა. ჩხირკედელა მაშინვე გარეთ გამოვიდა. იქ უბააბვეული წრუწუნა ჩაცუცქულიყო და მწარედ ტიროდა:

— ეჰ, რაც მე ამ ზამთარს თხილი და კაკალი ვამტვრიე, ვინ მოთვლის! ახლა კი სულ ამომშხამდა. ყველა კბილი მტკივა!

რკოს კაცუნამ იფიქრა: „ღირსი კია ეს წუწკი გავაპანღუროო“, მაგრამ მერე მაინც სკამზე დასვა და უშველებელი გაზით მტკივანი კბილი თვალის დახამხამებაში ამოაძრო.

უცებ ზუზუნით ფუტკარი ჟუჟა მოფრინდა.

— სადა ხარ, რკოს კაცუნავ, ჩქარა ნესტარი გამილესე!—დაიძახა მან,—ვინც შრომაში ხელს შემიშლის, ამ ისრით გავამწარებ.

— ახლავე, ახლავე,—დაფაცურდა რკოს კაცუნა და სალესავი სწრაფად დაატრიალა. მალე კმაყოფილი ფუტკარი ყვავილებისაკენ გაფრინდა.

დაღამდა. დაღლილი რკოს კაცუნა მდელოზე მიწვა. უცებ ბალახებში რაღაც შრიალი გაისმა. სახელოსნოსაკენ ციცინათელა მოაბიჯებდა. მისი შუქი ისე სუსტად ბჟუტავდა, რომ ცოტაც და მთლად ჩაქრებოდა.

— ჰეი, ხელოსანო, იქნებ ცოტაოდენი ნავთი მოგეპოვება, თორემ თავი მომეჭრა, სანათური მიქრება,—შესძახა მან.

ჩხირკედელა მაშინვე ფეხზე წამოხტა და ციცინათელას სანათურში ნავთი ჩაუსხა.

— აი, აგაშენოს, ისე გავანათო შენი კარ-მიდამო, რომ დღე გეგონოს!—მიუგო ციცინათელამ და სახელოსნოს შუქი მოჰფინა.

დილით ზაფხული მობრძანდა! ისეთი მზიანი დარი დადგა, რომ ლამაზი პეპლები, კრიალა ხოჭოები და ზუზუნა ფუტკრები სიხარულით ფერხულს უვლიდნენ.

7738

დ. ხმიადაშვილი

მოხერხებული კაცი

(ქართლში გაგონილი ამბავი)

ერთხელ ლიახვის ნაპირს ერთი კაცი მიადგა, წყალგაღმა გასვლა ეწადა. მდინარე არც ისე იყო ადიდებული, მაგრამ კაცს შეეშინდა და იფიქრა: ცოტას მოვიცდი, ურემი გამოივლის და გამიყვანსო. დიდხანს ელოდა, ურემი კი არსად ჩანდა. კარგა ხნის შემდეგ ექვსი კაცი მოადგა მდინარეს, დამხვდურს მიესალმნენ და ჰკითხეს:

— აქ რას აკეთებ, ძმობილო?

რომ არ შერცხვენილიყო და წყალგაღმაც მშვიდობით გასულიყო, მხდალმა კაცმა ასე უპასუხა:

— რას ვაკეთებ და ამ მდინარეში ხალხი გამყავს და გამომყავს. თუ გინდათ, თქვენც გაგიყვანთ.

მგზავრებს გაეხარდათ:

—შენ ეგ სიკეთე გვიყავი და პატივისცემა ჩვენზე იყოს.

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

— მაშ ფეხთ გაიხადეთ, ტანისამოსი შემოიკარწახეთ, ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეთ, მერე სამი ერთ მხარეზე მომიდექით, სამი მეორეზე, შუაში მე ჩაგიდგებით და გაგიყვანთ,—დაარიგა ამ მოხერხებულმა კაცმა.

ასეც მოიქცნენ.

შვიდივე ერთად შევიდა მდინარეში. ექვსი ვაჟკაცი ყოჩაღად მიაპობდა მდინარეს და თან დამხვდურსაც მიაჩანჩალებდნენ, რომელსაც შიშით სული ელეოდა.

სამშვიდობოს რომ გავიდნენ, მგზავრებმა „გამყვანს“ ფული აჩუქეს, ერთი კარგი ნაზუქიც შესთავაზეს და მადლობა გადაუხადეს.

მხდალ კაცს კი გულში ეცინებოდა და ამბობდა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“.

ამოცანა

ილია სიხარულიძე

ერთხელ ბიძამ ზაზას უთხრა:
— რამეს გკითხავ, მიგდე ყური!
მაგალითად, დედამ მოგცა
ერთად შვიდი ხაჭაპური;
ვთქვათ, შენ სამი შეჭამე და
შეინახე დანარჩენი;
დაფიქრდი და მიპასუხე,
დაგრჩებოდა თუ რამდენი?!
— არაფერი დამრჩენია!
— რატომ?—ბიძა გაიოცებს.
— იმიტომ, რომ შვიდ ხაჭაპურს
დედა ერთად მე არ მომცემს.

რებუსი

ყვინჩილა და მელია

ნახატები შ. ცხადაძისა

მელიამ ყვინჩილა დაიჭირა და შეჭმა დაუპირა.

— ეჰ, მელაკუდავ, ხომ ხედავ, რა გამხდარი ვარ. აბა, ჩემი ძვლები რას გაგაძღებს... ძალიან მსუქანი მშობლები მყავს, წამო, მათთან წაგიყვან!

მელიამ ყვინჩილას მაშინვე გაუშვა პირი:

— მაგას რა სჯობია, ჩქარა წინ გამიძეხ!..

ენის გასატეხი

მფრთხალი ჩიტი ფრთაფრთხიალა
მფრთხალ ჩიტს ეფრთაფრთხიალება.

მწყერი ვწვი და მწყერი ვჭამე,
მწყერის კუჭის ქონის ქადაც მიჭამია.

ხალხური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა რომ გაიარეს, უცინჩილამ ხე დაინახა, ზედ აფრინდა და მელიას ჩამოსძახა:
— მოგატყუე, მელაკუდავ, მშობლები არა მყავს!
— რას ამბობ? — გაიოცა მელამ, — მაშ როგორ გაჩნდი ქვეყანაზე?

მელია ახლაც ფიქრობს და ვერაფერი მოუფიქრებია. აბა, თუ მიხვდებით, როგორ გაჩნდა უცინჩილა?!

გამოცანები

ალ. საჯინოელი

მიწისქვეშა ცხოველია,
არის ბრმა და მეტად წყნარი,
ჭია-მატლებს მარჯვედ ხოცავს,
ბოსტნის კარგი მეგობარი.

ყრანტალა და ფერად შავი,
ფრინველია, ჰქვია • • • • •

გ. ირემაშვილი

ტყეში ვარ, ლაღად დავფრინავ,
შორს ისმის ჩემი გუგუნი,
სხვას ვაჩეკინებ ჩემს ბარტყებს,
აბა რა მქვია? • • • • • •

გ. ჭიჭინაძე

მეწისქვილეს მსახური ჰყავს
დღე და ღამე თავწაკრული,
ყოველ წუთში თუ არ ტყიპე,
ისე არ სურს სამსახური.



6. 25/160

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ი. არდიშვილისა

ტყისა და მინდვრის ყვავილები

ყდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცეცქირიძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთორმეტე წელი ფასი 2 მან.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საგლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 169, სტამბის შეკვ. № 970
ტირაჟი 20000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/III 1959 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 6, июнь 1959 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.